

ინფორმაცია ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 27 დეკემბრის 26 დადგენილებით და განისაზღვრა 7228,5 ათ.ლარით. 6 თვის განმავლობაში ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა 5 ცვლილება და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა სულ შეადგინა 13575,93 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შეადგენს 3434,9 ათ.ლარს. ფაქტიურად შემოსულია 3082,2 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 89,7%-ით. მათ შორის ქონების გადასახადის გეგმა იყო 139,0 ათ.ლარი. ფაქტიურმა შემოსავალმა შეადგინა 579,6 ათ.ლარი. დამატებითი ღირებულების გადასახადის გეგმა -3295,9 ათ.ლარი. ფაქტიური შემოსავალი- 2502,6 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 25,9 %-ით.

გრანტის სახით მიღებული შემოსავლების გეგმა 3271,0 ათ.ლარი. ფაქტიურად შემოსულია 907,9 ათ.ლარი, გეგმის 27,8%. მათ შორის მიზნობრივი ტრანფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად. გეგმა იყო 130,1 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 128,3 ათ. ლარი. გეგმა შესრულდა 98,6%.

გადაჭარბებითაა შესრულებული სხვა შემოსავლების გეგმა -78,3 ათ. ლარი, შემოსულია 173,2 ათ ლარი. გეგმა შესრულდა 221,2% -ით. მათ შორის: მოსაკრებელი, ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის გადასახადიდან გეგმით უნდა შემოსულიყო 19,0 ათ.ლარი. ფაქტიურად შემოსულია 23,5 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 123,7 % -ით. ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის გეგმა იყო 2,5 ათ. ლარი. ფაქტიურად შემოსულია 2,3 ათ.ლარი. გეგმა შესრულდა 92%-ით. შემოსავალი მომსახურების გაწევიდან გეგმა იყო 9,0 ათ.ლარი. შემოსულია 13,7 ათ.ლარი, ანუ გეგმა შესრულდა 152,2 %-ით. ჯარიმებით, სანქციებით და საურავებით მიღებული შემოსავლებით გეგმა შეადგენდა 9,0 ათ. ლარს. ფაქტიურად შემოსულია 3,8 ათ.ლარი.

გეგმა შესრულდა 42,2 %-ით. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლების გეგმა იყო 28,5 ათ. ლარი, ფაქტიურად შემოსულია 76,0 ათ. ლარი 266,7%-ი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადგილობრივი შემოსავლები გადაჭარბებითაა შესრულებული, რაც მიანიშნებს იმას, რომ შემოსავლების ნაწილში სწორად მოხდა დაგეგმა. მაგრამ მთავარია მისი ხარჯვა ხდებოდეს მუნიციპალიტეტში ახალი პროექტების დაპროექტებაში და ინფრასტრუქტურულ ობიექტების მოწესრიგებაში, რაც გააუმჯობესებს მოსახლეობის მდგომარეობას. აბსოლიტურად მიუღებლად მიმაჩნია მისი გადანაწილება ა(ა)იპ-ების ხელფასების სუფსიდირებაში.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებული ფაქტიური შემოსავლების გეგმა შესრულდა 142,0 % (გეგმა 10,0 ათ.ლარი, ფაქტი 142,0 ათ. ლარი).

გაწეული ხარჯებიდან მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებიდან წარმომადგენლობით ორგანოს უნდა მოხმარებოდა 340,0 ათ.ლარი, დაიხარჯა 321,5 ათ.ლარი ხოლო აღმასრულებელი ორგანოს შენახვას უნდა მოხმარებოდა 1010,8 ათ. ლარი, დაიხარჯა 832,3 ათ. ლარი.

თავდაცვის ხარჯებიდან სამხედრო აღრიცხვას და გაწევის სამსახურს მოხმარდა გეგმის 84,5%.

როგორც მოგახსენეთ ცაგერის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტში ექვსი თვის განმავლობაში განხორციელდა 5 ცვლილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში პირველი ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულება „ საქართველოს რეგიონებში

განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან“ მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ, საიდანაც ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 1656,6 ათ.ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეორე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 21 იანვრის 114 განკარგულება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო არაუმეტეს 2833012 ლარი. ასევე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის 2752 განკარგულება, რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამოეყო 620000 ათ.ლარი. აღნიშნული პროექტი თითქმის დასრულებულია. ყველა სოფელში აღმოიფხვრა მოსახლეობის მიერ დაყენებული პრობლემა. ასევე ცვლილების საფუძველია 2020 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული გაუნაწილებელი ნაშთის 1 699 59,44 ლარის განაწილება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მესამე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 7 თებერვლის 232 განკარგულება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 30007 , 009 ლარი.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეოთხე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის #551 განკარგულება, მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტს გამოეყო 398 886 ლარი, რომელიც შემოსულობების ნაწილში აისახა გრანტებში, ხოლო ხარჯებში

1. კეთილმოწყობის ღონისძიებები (ფასადებისა და სკვერების კეთილმოწყობა) – 398,886 ქ. ცაგერში მწვანე თეატრიდან ციხეებთან მისასვლელი ბილიკების და კიბეების მოწყობა) ასევე ცვლილების საფუძველია საქართველოს მთავრობის 2020 წლის 9 იანვრის # 27 განკარგულების შესაბამისად, ცაგერის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ცაგერის მუნიციპალიტეტს გამოეყო 310,0 ათ,ლარი რომელიც შემოსავლების ნაწილში აისახა გრანტებში, ხოლო გადასახადებში აისახა კეთილმოწყობის ღონისძიებებში.

ბიუჯეტში ცვლილების საფუძველია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის მიერ მიმდინარე ეტაპზე გასატარებელ ღონისძიებათა დაფინანსება. რეალურად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით ხარჯების მეტი ნაწილი მოდის ტრანსპორტით მომსახურებასა და საწვავით უზრუნველყოფაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით შემცირდა: „კულტურული ღონისძიებების დაფინანსება“ (ორგ. კოდი 05 02 06) 20 ათ. ლარით. და გაიზარდა მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის სუფსიდირება.

ცაგერის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მოსაზრებით „რეალურად არსებული პრობლემის მოსაგვარებლად კანონმდებლობის შესაბამისად თანხა უნდა გამოყოფილიყო სარეზერვო ფონდიდან. რაც სარეზერვო ფონდის ხარჯვის მოზნობრიობას გაამართლებდა.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მეხუთე ცვლილების საფუძველია ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 4 სექტემბრის #59 განკარგულებით გაცემული წინასწარი თანხმობა, რომლის შედეგად მიღწეული იქნა შეთანხმება ცაგერის მუნიციპალიტეტის მერსა და გაეროს განვითარების პროგრამას შორის, გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამასა და საჯარო სამართლის იურიდიულ პირს ცაგერის მუნიციპალიტეტს შორის აქტივობების განხორციელების შესახებ, რომლის ფარგლებში გრანტის გამცემი თანახმაა გამოეყოს თანხა გრანტის მიმღებს, ხოლო გრანტის მიმღები განახორციელებს პროექტს „ რეგიონალური და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობა საქართველოს ფაზა2“ „ ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა ადგილობრივი ეკონომიკური

განვითარებისათვის“ . გრანტის მოცულობა განსაზღვრულია 72 198 ათ. ლარით. ხოლო ცაგერის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა 10 920 ათ.ლარის ოდენობით.

აღნიშნული გრანტი 2019 წელს მიღებულია 39450 ათ.ლარი, ხოლო 2020 წლის ბიუჯეტში ზემოთ აღნიშნული გრანტიდან დღეის მდგომარეობით შემოსულია 32 748 ათ. ლარი.

რომელიც შემოსავლებში აისახა გრანტებში, ხოლო გადასახადების ნაწილში შეთანხმებით. დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებში (სხვადასხვა მომსახურეობის შესყიდვის მიზნით) მიუხედავად სხვადასხვა ფინანსური დახმარებების და მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ საკრებულოს მოთხოვნისა, ორ წელზე მეტია ვერ მოხერხდა ტურისტული ცენტრის გახსნა, რომელიც თავის მხრივ გაზრდიდა სამუშაო ადგილს.

ცაგერის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ცვლილების საფუძველია ასევე ბიუჯეტით დამტკიცებული პრიორიტეტების ფარგლებში პროგრამებსა და ქვეპროგრამებს შორის თანხების გადანაწილება. კერძოდ „ საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება“ საკუთარი შემოსავლებიდან ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მოვლა-შენახვისთვის გათვალისწინებული იყო 40 ათ.ლარი. დღეის მდგომარეობით დახარჯულია 33,9 ათ.ლარი და დარჩენილი რესურსი საკმარისი არ არის პროგრამის გაგრძელებიშთვის ამ კოდის გაზრდისთვის საჭიროა თანხის დამატებით გამოყოფა 30 ათ.ლარის ოდენობით. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მუნიციპალიტეტის მერიამ შეამცირა პროგრამა კოდით“ 02.06 რეგიონალური პროექტების პროექტირების და ტექნიკური ზედამხედველობის დაფინანსება. აღნიშნულ გადანაწილებებს საფინანსო-საბიუჯეტო კომისია აფასებს უარყოფითად.

ჩავარდნა არის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის მიმართულებით. გეგმა იყო 3108,2 ათ.ლარი და დაფინანსდა 1675,4 ათ. ლარით. მათ შორის: გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა დაფინანსდა 574,6 ათ.ლარით. გარე განათების რეაბილიტაცია ექსპლოატაცია დაფინანსდა 101,4 ათ.ლარით.კეთილმოწყობა- 323,3 ათ. ლარით. წყლის სისტემის რეაბილიტაცია- 15, 9ათ.ლარი. კეთილმოწყობა- 323,3 ათ.ლარი. წყლის სისტემის რეაბილიტაცია- 15,9 ათ. ლარი. ქალაქის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები- 252,8 ათ.ლარი. ა(ა)იპ ადმინისტრაციულ ერთეულში ადგილობრივი თვითმართველობის და ფერმერული მეურნეობის განვითარების და ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 250,9 ათ. ლარით. მუნიციპალიტეტის ტრანსპორტის ხელშეწყობის ღონისძიებები დაფინანსდა 107, 9 ათ. ლარით. დონორ ორგანიზაციებთან ერთად ერთობლივი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება 35,5 ათ. ლარით.

საგანმანათლებლო ღონისძიების ხარჯები ათვისებულია 83,2% გეგმა იყო 452,5 ათ. ლარი ფაქტი 376,5 ათ.ლარი.

კულტურა, ლერვიგა, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსდა 767,6 ათ. ლარით. მათ შორის ა(ა)იპ. კომპლექსური სპორტული სკოლა დაფინანსდა 89,4 %, საფეხბურთო კლუბი, „ხვამლი“ 73,4% (გეგმა 50,7 ათ. ლარი. ფაქტი 37,2 ათ. ლარი, ფრენბურთის კლუბი „ცაგერი“ დაფინანსდა 81,6 %, მუზეუმი დაფინანსდა 89,9%, სამუსიკო სკოლა 99,4 %, სამხატვრო სკოლა -94,6%, ბიბლიოთეკები დაფინანსდა 94%, კულტურული ღონისძიებები დაფინანსდა (წმ. მაქსიმე აღმსარებლის სადღესასწაულო ღონისძიებები,ლადობა დაფინანსდა 10,3 ათ. ლარით). ა(ა)იპ ქალთა უფლებები გენდერული თანასწორობის ცენტრი დაფინანსდა 100 %-ით, ცაგერის ესთეტიკური აღზრდის ცენტრი დაფინანსდა 99,2 %- ით, ა (ა)იპ ახალგაზრდობის, საზოგადოებასთან ურთიერთობის და პერსპექტიული დაგეგმარების ცენტრი 98,5% -ით, ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების და ძეგლთა დაცვის ხელშეწყობის ცენტრი დაფინანსდა 90,5%. სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის ხარჯები დაფინანსდა 89,7%-ით, გეგმა 307,9 ათ. ლარი, ფაქტი 276,3ათ. ლარი.

